ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 139

ქ. თბილისი 30 ოქტომბერი, 2018 წელი

ერთი მხრივ, **სსიპ - „აწარმოე საქართველოში“** (შემდგომში - ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **თორნიკე სულაბერიძე** სახით (მის: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18, ტელ: +995 32 2960010, მობ: 599882242 ს/კ: 204582763, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა 200122900) და მეორე მხრივ,

მეორეს მხრივ, **შ.პ.ს. „იზი პრინტი“** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის **მიხეილ მჭედლიშვილის** სახით, (მის.: ქ.თბილისი, ცაბაძის 15, მობ: 555 11 16 60; საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი", კოდი: TBCBGE 22, ა/ა GE86TB7245836020100001/GEL, საიდენტიფიკაციო კოდი: 401994400)

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე, **გამარტივებული შესყიდვის საშუალებით,** სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს (ორგანიზაციის კოდი 24 07 01) 2018 წლის დაფინანსების ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) ”შემსყიდველსა” და ”მიმწოდებელს” შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს ”შემსყიდველმა” ”მიმწოდებლის” მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მოწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი/მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია, სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს მიერ **ასლგადამღები მანქანების ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა -(CPV -50313200).**

2.2. **შესყიდვის ობიექტის დასახელება, აღწერილობა, რაოდენობა განისაზღვრება დანართი #1 შესაბამისად.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს **940.00 (ცხრაას ორმოცი) ლარს.**

3.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება განისაზღვრება **დანართი #1-ის** შესაბამისად.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

4.1.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ერთიანად, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18 (უზნაძის #18), შემსყიდველი ორგანიზაციის ოფისი.

5. მხარეთა ვალდებულებანი

5.1. **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**

5.1.1. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გადაცემული კარტრიჯის დატენვა/აღდგენის მომსახურების გაწევა ხარისხიანად (დატენილი კარტრიჯი არ უნდა ტოვებდეს ლაქებს, ნაკაწრებს და ა.შ.).

5.1.2. მოწოდებული კარტრიჯები შეფუთული უნდა იყოს ქარხნული წესით, ტრანსპორტირებისთვის უსაფრთხო შეფუთვაში, რომელიც უზრუნველყოფს ტრანსპორტირებისას ფხვნილის კარტრიჯიდან გადმოყრის და კარტრიჯის დაზიანების თავიდან აცილებას.

5.1.3 გაასუფთავოს დატენილი და აღდგენილი კარტრიჯები ისე რომ არ იწვევდეს მომხმარებლის დასვრას ნარჩენი ტონერით;

5.1.4 წარმოადგინოს კარტრიჯის დატენვის და აღდგენის შემდგომ მისი ტესტირების ფურცელი;
5.1.5. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ჩატარებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა, საკუთარი ხარჯით (ტრანსპორტირების ჩათვლით) ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ასეთი ნაკლის აღმოჩენიდან შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ნაკლი გამოწვეულია ნივთის მექანიკური დაზიანებით ან/და ბუნებრივი ცვეთით.
5.1.6. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
5.1.7. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას, ხეკშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „აწარმოე საქართველოში" **სამეურნეო უზრუნველყოფის სპეციალისტი ივანე ვერძეული**
6.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:
ა. მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
ბ. გაწეული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
გ. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება.
6.3. ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

6.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:
ა. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
ბ. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე შესყიდვის ობიექტის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
გ. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება.
6.3. ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
7.2. მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იქნას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება.
7.3. მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება მოწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად.
7.4. „შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.1 პუნქტში მითითებული პირ(ებ)ს (ერთობლივად ან ცალ-ცალკე).

8. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა. ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;
ბ. ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ერთიანად, მოწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, დოკუმენტის სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0.02%-ის** ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს

ხელშეკრულების **ღირებულების 0.1%,** მაშინ მეორე მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოსთხოვოს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, გარდა ხელშეკრულების 9.1. და 9.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების **0.02%-ის ოდენობით.** იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **0.1%,** მაშინ მეორე მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოსთხოვოს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის ან მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის გამო შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა **10%-ის** ოდენობით.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველისთვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%-ის ფარგლებში, სხვა რისკებს იღებს მიმწოდებელი.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5 (ხუთი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2018 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ფორს-მაჟორი

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

14.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

14.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. ინტერესთა კონფლიქტი

15.1 შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების განმახორციელებელი პირ(ებ)ი ხელისმოწერით ადასტურებენ, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ - „აწარმოე საქართველოში"	შ.პ.ს. „იზი პრინტი"
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	დირექტორი
თორნიკე სულაბერიძე _____	მიხეილ მჭედლიშვილი _____
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N139-ის

დანართი #1

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის/გასაწევი მომსახურების აღწერილობა	კარტრიჯების რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი) დღგ-ს ჩათვლით (1ც კარტრიჯის დატენვა/აღდგენის ღირებულება)	სულ
1	2	3	4	5	6
1	Lexmark C950 de კარტრიჯის (ლურჯი ფერის) დატენვა/აღდგენა.	• კარტრიჯის დატენვა - ითვალისწინებს მის სრულ გაწმენდას და ხარისხიანი ტონერით შევსებას; • კარტრიჯის აღდგენა - ითვალისწინებს მის სრულ ტექნიკურ მომსახურებას, მათ შორის: კარტრიჯის დიაგნოსტიკას, სპეციალური ხსნარით ნაწილების გაწმენდას, დეტალების/ნაწილების გამოცვლას.	2	200.00	400.00
2	Lexmark CS 510 de კარტრიჯის (ყვითელი ფერის) დატენვა/აღდგენა.		1	135.00	135.00
3	Lexmark CS 510 de კარტრიჯის (წითელი ფერის) დატენვა/აღდგენა.		1	135.00	135.00
4	Lexmark CS 510 de კარტრიჯის (ლურჯი ფერის) დატენვა/აღდგენა.		1	135.00	135.00
5	Lexmark CS 510 de კარტრიჯის (შავი ფერის) დატენვა/აღდგენა.		1	135.00	135.00
				სულ:	940.00

„შემსყიდველი“

სსიპ - „აწარმოე საქართველოში“

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

თორნიკე სულაბერიძე _____

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „იზი პრინტი“

დირექტორი

მიხეილ მჭედლიშვილი _____